“წვანე ალტერნატივას” საჩივარი გადაცემა “პოლიტიკური პარასკევის” წამყვანების ეკა მიშველაძის და ალექსი პეტრიაშვილის წინააღმდეგ

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები:

გადაცემა “პოლიტიკური პარასკევი” წამყვანები: ჟურნალისტი ეკა მიშველაძე და ანალიტიკოსი ალექსი პეტრიაშვილი

ადავო მასალა: გადაცემა “პოლიტიკური პარასკევი”, „ტვ პირველის“ საღამოს ეთერში 2021 წლის 21 მაისს გავიდა https://www.facebook.com/tvpirveli/videos/154572816638753

ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება

„ტვ პირველის“ საღამოს ეთერში 2021 წლის 21 მაისს გასული ეკა მიშველაძის და ალექსი პეტრიაშვილის გადაცემა “პოლიტიკური პარასკევი” ეხებოდა პროტესტს ნამახვან ჰესის წინააღმდეგ. წამყვანებმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა ასე დააყენეს - უნდა აშენდეს, თუ არა ნამახვანი ჰესების კასკადი და რა სარგებელს ან ზიანს მოიტანს ის. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამ საკითხზე დისკუსია უნდა გამართულიყო, მთლიანობაში, გადაცემაში იგრძნობოდა წამყვანების მიკერძოებული დამოკიდებულება და გამოხატული მოსაზრება ამ კითხვის ერთ-ერთი პასუხის მიმართ (განსაკთრებით ალექსი პეტრიაშვილის და ეკა მიშველაძის საწყის მონოლოგებში): რომ ნამახვან ჰესის აშენება ცალსახად დადებითი მოვლენაა (ხოლო ხალხი მის მშენებლობას, ალბათ, უფრო იმიტომ ეწინააღმდეგება, რომ პროექტის შესახებ კარგად არ იცის, რადგან კომუნიკაცია არ ყოფილა - პეტრიაშვილის მონოლოგი).

წამყვანების ეს დამოკიდებულება ერთგვარად აისახა კიდეც სტუმრებზე, სადაც პროექტის მომხრეები უფრო მეტად და მრავალფეროვნად იყვნენ წარმოდგენილნი, ვიდრე მოწინააღმდეგეები. გადაცემის დროის მეტი ნაწილი დაეთმო და თემა ძირითადად მიჰყავდათ შემდეგ სტუმრებს: „ენკას“ (ნამახვანჰესის მშენებელი კომპანიის) დირექტორს და პროექტის მხარდაჭერებს: „განახლებადი ენერგიების ასოციაციის“ დირექტორს გიორგი აბრამიშვილს, ენერგეტიკული კორპორაციის აღმასრულებელ დირექტორს გიორგი ჩიქოვანს და „ენკას“ მხარდამჭერ ინჟინერს ზაზა გორდეზიანს. სტუმრები ასევე იყვნენ: პარტია “გირჩი მეტი თავისუფლება” ზურა გირჩი ჯაფარიძე, რომელიც, მოწვეული იყო როგორც პოლიტიკოსი, რომელიც მხარს უჭერდა პროექტს და საკმაოდ დიდ ხანს იყო დისკუსიაში ჩართული; „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ლაშა დამენია, რომელიც ასევე მხარს უჭერდა პროექტს, და „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი პაატა მანჯგალაძე, რომელსაც ორაზროვანი პოზიცია ჰქონდა, თუმცა უფრო პროექტის მომხრეებისკენ იხრებოდა.

სტუდიაში საწინააღმდეგო მხარის ინტერესების დასაცავად ისხდნენ „ლელოს“ წარმომადგენელი ირაკლი კუპრაძე და “ხალხისთვის” ლიდერი ანა დოლიძე; ეკონომისტი დავით ადეიშვილი; (გადაცემაში ცოტა ხნით ჩაერთო) სეისმოლოგი თეა გოდოლაძე, რომელმაც სეისმურ რისკებზე ისაუბრა. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილი რომელიც, ცნობილია, რომ მკაცრი არგუმენტებით გამოირჩევა ხოლმე ნამახვან ჰესის წინააღმდეგ, მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩაერთო გადაცემის ბოლოსკენ. აღსანიშნავია, რომ ჩხარტიშვილმა ეთერის დროს განაცხადა, რომ სტუმრების ნაწილს მასთან პირდაპირ დებატში ჯდომა არ სურდა და რომ მას ამ ფორმატის გამო ოპონენტებთან პასუხის გაცემის საშუალება არ დარჩებოდა, რადგან მხოლოდ მცირე ხნით ერთვებოდა გადაცემაში. ?ნიშვნელოვანია, რომ თუ ჟურნალისტი გადაწყვეტილებას იღებს, მაყურებელს ღიად უთხრას გადაცემის მიმდინარე ფორმატის შესახებ - მაგალითად, როგორც ეს მოხდა თეა გოდოლაძის შემთხვევაში - წამყვანმა რამდენჯერმე ხაზი გაუსვა, რომ მათ მისი მოწვევა სურდათ სტუდიაში, მაგრამ გოდოლაძემ ჩართვა ამჯობინა - სამართლიანი იქნებოდა, იგივენაირად აღენიშნათ მიზეზი, თუ რატომ და ვისი სურვილის გამო (თუ ასე იყო) არ მოხერხდა ჩხარტიშვილის სტუდიაში მოყვანა თანაბარი დებატისთვის.

პროექტის დამცველ ექსპერტებს და მეცნიერებს, მთელი გადაცემის განმავლობაში, არ ჰყავდათ თანაბრად წარმოდგენილი მოპასუხე მხარეები, რომლებიც ენკას მხარდამჭერების მიერ მოყვანილ საგნობრივ მტკიცებულებებს, საიდანაც დიდი ნაწილი მართლაც მცდარი იყო, გასცემდა პასუხს. ეს მხარეები შეიძლება ყოფილიყვნენ მეცნიერები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც, წლებია, ნამახვან ჰესის პროექტზე მუშაობენ და ამის შესახებ მედიისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია და ვისაც არაერთი დასკვნა გამოუქვეყნებია, თუ სარჩელი შეუტანია პროექტის წინააღმდეგ. გადაცემაში დაისვა კიდეც ბევრი ისეთი სამეცნიერო კითხვა, რომელზეც პასუხები ან გაუცემელი დარჩა, ან მხოლოდ „ენკას“ ინტერესებიდან გამომდინარე გაეცა პასუხები. გადაცემაში ასევე არ მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის ექსპეტრები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის თემები მოიცავდნენ ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, ჰიდროლოგიის, მევენახეობის და მეცნიერების სხვა სფეროებს.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში არ იყვნენ რიონის ხეობის მოძრაობის წარმომადგენლები და ეს, როგორც წამყვანმა განაცხადა, მათი სურვილი იყო - უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე (ზოგადად, რიონის მცველები საჯაროდ აცხადებენ, რომ ისინი არ აპირებენ მონაწილეობას „ენკასთან“ დებატებში, რადგან მათ საქმე აქვთ მთავრობასთან. ამ არგუმენტის შესახებ ჟურნალისტს არ განუცხადებია).

თუმცა, უფრო კონკრეტულად, გადაცემაში იყო სხვა არაერთი პრობლემა, რომელთა გამო, ჩვენი აზრით, რამდენჯერმე დაირღვა ეთიკის ქარტიის პრინციპები #1, #3 და #11.

1: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

3. **ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.**

11. **ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:**

- **ფაქტის განზრახ დამახინჯება;**

გადაცემის დასაწყისში ეკა მიშვლაძემ ხაზიც გაუსვა, რომ ამ თემისთვის „კარგად მოემზადნენ“ საკითხის გარშემო და დააზუსტა: „შევეცადე ყველაფერი წამეკითხა“.

შემთხვევა 1: თურქოფობიის შესახებ
ამ შემთხვევაში დაირღვა პრინციპი #1 და პრინციპი 11.

ამ გადაცემაში სამჯერ ახსენეს რიონის ხეობის მცველების პროტესტის თურქოფობიული და ქსენოფობიური ხასიათის შესახებ, მათ შორის, ერთხელ წამყვანმა - ალექსი პეტრიაშვილმა. ორჯერ - სტუმრებმა. მიუხედავად იმისა, რომ რიონის ხეობის მოძრაობის ორგანიზატორებმა მრავალი თვის განმავლობაში არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი ემიჯნებიან თურქოფობიულ და ქსენოფობიურ განცხადებებს და ეს ინფორმაცია მედიაშიც გავრცელდა, გადაცემის წამყვანმა, ჟურნალისტმა ეკა მიშველაძემ, არც ერთხელ უზრუნველყო სწორი კონტექსტის და ინფორმაციის გაჟღერება და არ განაცხადა, რომ ეს ბრალდება შეიძლება უსაფუძვლო იყოს; ყოველ შემთხვევაში, ქსენოფობიას და თურქოფობიას ემიჯნებიან ის ადამიანები, ვისაც ამაში ბრალს დებენ. არ იყო ნახსენები ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, მაგალითად, პროტესტს მხარს უჭერენ თურქეთის “მწვანეები” და მუსულმანური აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეები აჭარიდან და პანკისიდან, რომელთა განცხადებებიც მედიაში ასევე ფართოდ გაშუქდა. ჟურნალისტმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის სრულად და არა ცალმხრივად მიწოდება მაყურებელთან და ხელი არ შეუწყოს ცრუ ბრალდებებს ან ინფორმაციის დამახინჯებას. ?ით უფრო მაშინ, როცა გასაგები მიზეზების გამო (იხ.ზემოთ) ქსენოფობიაში ბრალდებული მხარე - პროტესტის ორგანიზატორები - თვითონ არ იყვნენ გადაცემაში, რომ ამ ბრალდებისთვის და უზუსტობისთვის ეპასუხათ, ეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად უნდა თავის თავზე აეღო ჟურნალისტს. წყაროების მაგალითები:

https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis/videos/478451139868055

https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis/videos/1163404567436873

https://publika.ge/elchebis-ganckhadebebi-namakhvanhesze-da-pasukhi-mat/

2. ნამახვანი ჰესი 12 თვით გაჩერებულია

დაირღვა პრინციპი: #1. ?ა #11

გადაცემის დასასრულისკენ წამყვანი ეკა მიშველაძე ავრცელებს ინფორმაციას, რომ ნამახვან ჰესის სამუშაოები გაჩერებულია, "გადადებულია" ჰესის მშენებლობა 12 თვით. ის ამ დამოკიდებულებას ავრცელებს როგორც ფაქტს. ეს განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება.

სინამდვილეში, მსგავსი განცხადება გააკეთა საქართველოს მთავრობამ, თუმცა, ეს ინფორმაცია არაერთხელ უარყვეს იმ ადამიანებმა ვინც ხეობაში იყვნენ და გაავრცელეს მუშაობის ამსახველი ვიზუალური მასალა, მათ შორის, ეს მასალები გაავრცელეს მედიებმაც. ეს იყო ერთ-ერთი თემა ნამახვანთან დაკავშირებით, რომელიც მორიგი დისკუსიის და ხმაურის მიზეზიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ „ბევრ მასალას გაეცნო", გადაცემის ამ ნაწილში ის ან ავრცელებს გადაუმოწმებელ მასალას, რომელიც საბოლოო ჯამში, სიმართლეს არ შეესაბამება, ან შეგნებულად ავრცელებს მთავრობის და „ენკას" მიერ წარმოდგენილ დეზინფორმაციას, რადგან ინფორმაციის ისე შეფუთვა სურს, რომ მათი არგუმენტები მეტად და „სწორად" წარმოაჩინოს. ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს ტყუილის გავრცელებასთან.

წყაროების
მაგალითები:https://www.kutaisipost.ge/ka/akhali-ambebi/article/20459-kompania-enka-hesis-mshene blobisthvis-mosamzadebel-samushaoebs-agrdzelebs

https://www.radiotavisupleba.ge/a/31279858.html

3. **ზუთხი რიონში**

დაირღვა პრინციპები #1 და #3 (ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია) და #11.

გადაცემის განმავლობაში ეკა მიშველაძე, ჟურნალისტი, ავრცელებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რასაც თვითონვე ადასტურებს, რომ გადაუმოწმებელია: „მე ისიც წავიკითხე რომ იქ ზუთხი საერთოდ არ არსებობსო, არ ვიცი რამდენად სწორია ეს ინფორმაცია, მაგრამ ასე წავიკითხე", ამ განცხადებით ის აგრძელებს მოწვეული სტუმრის, ზურა გირჩი ჯაფარიძის გამოსვლას, რომ ჰესის აშენებით ზუთხის რისკებთან დაკავშირებით საუბრები „ბოდვაა".

შედეგად, ორივე, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი ამ საკითხზე თანხმდებიან, რომ ზუთხის თემა [რისკი, რასაც დიდი ჰესის აშენება შეუქმნის ზუთხს] არის მითი, და განაგრძობენ სხვა თემებზე საუბარს.

გადაცემის ბოლოსკენ, ეკა მიშველაძე ეკითხება ნამახვან ჰესის მხარდამჭერ გიორგი აბრამიშვილს, რომელიც ენერგეტიკულ ორგანიზაციას წარმოადგენს: "ზუთხი გაწყდება"? ის პასუხობს - "ზუთხი არც ყოფილა იქ" და ჟურნალისტი ისე წარმართავს გადაცემის ამ ნაწილს, თითქოს ინფორმაციის ამ წყაროებიდან ამგვარი „დასაბუთება" საკმარისია.

ფაქტი:

მდინარე რიონი წარმოადგენს ზუთხისებრების 6 სახეობის საბინადრო მდინარეს, ესენია: რუსული ზუთხი (Acipenser gueldenstaedtii), კოლხური ზუთხი (Acipenser gueldenstaedtii colchicus / colchicus / persicus colchicus), ჯარღალა (Acipenser nudiventris), ტარაღანა (Acipenser stellatus), ევროპული ზუთხი (იგივე ატლანტური ზუთხი ანუ ფორონჯი) (Acipenser sturio), სვია (Huso huso).

საქართველოში გავრცელებული ზუთხისებრების ყველა სახეობა შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხაში, როგორც კრიტიკული საფრთხის წინაშე მდგომი სახეობები. ისინი ასევე დაცულნი არიან ისეთი საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებებით, როგორებიცაა ევროპის საბჭოს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (იგივე ბერნის კონვენცია), "ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის ბონის კონვენცია", „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია" (CITES). ზუთხისებრებს იცავს ასევე ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ ევროსაბჭოს დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაციის შესახებ (იგივე „ჰაბიტატების დირექტივა"), რომლის მოთხოვნებიც შესრულებაც საქართველოსთვის სავალდებულოა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით. ექვსივე სახეობას შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში" და იცავს ეროვნული კანონმდებლობა. ზუთხისებრებისთვის მდინარე რიონის მნიშვნელობა აღიარებულია ბერნის კონვენციის მიერ. ბერნის კონვენციამ 2018 წელს დაამტკიცა „პან-ევროპული მოქმედებათა გეგმა ზუთხისებრებისთვის". განისაზღვრა, რომ რიონზე უნდა შეიქმნას სპეციალური დაცული ტერიტორია, რომელიც მოიცავს მდინარე რიონის შუაწელს, ასევე რიონისა და ზღვის შესართავს და მიმდებარე საზღვაო სივრცეს. ეს ყოველივე ხაზს უსვამს, რომ მდინარე რიონი არის მაღალი კონსერვაციული ღირებულების ჰაბიტატი, ზუთხისებრების დაცვისთვის, როგორც ეროვნული და რეგიონული, ასევე, გლობალური მასშტაბით. მსოფლიოს წამყვანი ბუნებისდაცვითი ორგანიზაციები (FFI (Fauna & Flora International), WWF (World Wildlife Fund) აქტიურად არიან ჩართული რიონის ზუთხისებრების კონსერვაციაში. ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია ადვილად მოიპოვება ქართულ მედიაშიც, სოციალურ მედიაშიც და ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე.

აღნიშნული ინფორმაციის ნახვა ჟურნალისტებს შეეძლოთ როგორც სოციალურ ქსელში გავრცელებულ ცნობებში, ისე სხვადასხვა ექსპერტებისგან და მეცნიერებისგან, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ საქართველოში:

- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF Caucasus PO), რომელიც ფართო პროგრამას ახორციელებს რიონში ზუთხების კონსერვაციასთან დაკავშირებით,
- ფლორა და ფაუნა ინტერნაიშენალის წარმომადგენლებისგან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ საკითხზე, ფართოდ ავრცელებენ ინფორმაციას სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს. ასევე ამ ორგანიზაციის თვალსაზრისი წერილობითი სახით წარმოდგენილია ნამახვანჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის დროს და მოხსენიებულია ამ პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ტექსტში.
- ჟურნალისტები არ იცნობენ, ან იცნობენ და მიზანმიმართულად არ საუბრობენ ნამახვანი ჰესის პროექტთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მიერ გაცემულ სკრინინგის, სკოპინგის და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე, სადაც საუბარია ზუთხის სახეობებთან დაკავშირებით. სევე ეს საკითხი გამოყოფილია მთავრობასა და კომპანია ენკას შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

თუნდაც პოპულარულ მედიაში, არსებობს ღიად ხელმისაწვდომი ბევრი წყარო, რომელიც გააბათილებდა ამ მტკიცებას, მაგრამ ისინი გადაცემაში არ გამოიყენეს.

- მაგალითად: https://mtisambebi.ge/news/ecology/item/1273-fauna-flora-international-namaxvanbesis-mshe neblobis-shecherebas-itxovs
- https://ifactimereti.ge/namakhvani2/
- https://www.facebook.com/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-102993061357879

- ჟურნალისტებს ასევე შეეძლოთ ამ მნიშვნელოვან საკითხზე (ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებისდაცვითი საკითხი რეგიონში) მიეღოთ ინფომაცია ზოოლოგიის ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისაგან, რომლებიც აქტიურად, წლების განმავლობაში მუშაობენ მდინარე რიონში გავრცელებული ზუთხების სახეობების შესწავლისა და დაცვის საკითხებზე და წარმოედგინათ ტელემაყურებლისათვის.

პრობლემა #1: ჟურნალისტი ავრცელებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას. პრობლემა #2. ჟურნალისტი ავრცელებს არაზუსტ ინფორმაციას. პრობლემა #3: დისკუსიაში/გადაცემაში, რომელსაც ამბიცია აქვს, რომ თემა ბევრი კუთხით გაშალოს და სხვადასხვა მხარეები წარმოაჩინოს, არ არიან მეცნიერები და ის ორგანიზაციები, რომლებიც ზუთხზე და ზოგადად, ბიომრავალფეროვნებაზე მუშაობენ და ამ საკითხებზე შეძლებენ საუბარს. ს, მაშინ როცა ნამახვან-ჰესთან დაკავშირებული პრობლემების ნაწილი აღნიშნულ საკითხს უკავშირდება და როცა თვითონ ჟურნალისტი ამ თემას განსახილველად წამოჭრის. თუმცა, მას წარმოაჩენს მხოლოდ როგორც „მითს“, რადგან ამ საკითხე აჟღერებს მხოლოდ საკუთარ „ყურმოკრულ“ ფრაზას და ამ საკითხის მოპასუხის, ზურა გირჩი ჯაფარიძის „არგუმენტს“, ვინც: ა) მეცნიერულ, საგნობრივ განხილვაში ვერ შევა კომპეტენციის არ ქონის გამო. ბ) მიზნად ისახავს პროექტის გამართლებას. პრობლემა #4: ჟურნალისტი ისე აღნიშნავს ზუთხის საკითხს, რომ არ აჟღერებს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ არაერთ განცხადებას და მითითებას, რომლებიც მედიაშიც გავრცელდა, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების ექსპერტებისგან.

ჟურნალისტმა არ სცადა საკითხის ისე გადაცემა, რომ სრული ინფორმაცია და სიმართლე მიეწოდებინა მაყურებლისთვის. მან საკითხი გადასცა ცალმხრივად და არაკომპეტენტურ, ან არარსებულ წყაროებზე დაყრდნობით.

ქვე აღსანიშნავია, რომ ეკა მიშველაძის თანაწამყვანი ბუკა პეტრიაშვილი ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრია. ოლო როგორც მინისტრი, ის ვალდებული იყო სცოდნოდა ევროკავშირის კანონმდებლობის და საქართველოს ინტეგრაციის კუთხით იმ დირექტივების და კონვენციების არსებობის შესახებ, რომლებიც ზუთხს/ბიომრავალფეროვნებას იცავდნენ. ემოაღნიშნულთან ერთად, ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს რომ გადაცემაში ამ კუთხითაც ადგილი ჰქონდა ინფორმაციის განზრახ დამახინჯებას.

4. გაჩერებული ჰესები და 4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია
დაირღვა პრინციპები: #1, #3.

გადაცემაში ბევრ სხვასთან ერთად, ისმის კიდევ ერთი უზუსტობა საქართველოში „გაჩერებულ“ ჰესებზე. ამ ინფორმაციას ჯერ ავრცელებს წამყვანი ალექსი პეტრიაშვილი, შემდეგ სტუმარი, პოლიტიკოსი ზურა გირჩი ჯაფარიძე. აქვე, აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე ფაქტზე საუბრისას ალექსი პეტრიაშვილი ჯერ აღნიშნავს, რომ საქართველოში გაჩერებულია 84 ჰესი, ხოლო ზურა გირჩი ჯაფარიძე იმავე გადაცემაში, იმავე საკითხზე ამბობს, რომ გაჩერებულია 54 ჰესი და ორივე რიცხვს ორივე მათგანი არაერთხელ იმეორებს. საინტერესოა, რომ ჟურნალისტს არ აღელვებს, ჩაეკითხოს და გადაამოწმოს - რატომ სახელდება სხვადასხვა რიცხვები და რომელი მათგანია ზუსტი; არ ცდილობს ინფორმაციის დაზუსტებას.

წამყვანი ალექსი პეტრიაშვილის ამბობს, რომ საქართველოში ყველა ჰესის, 84 ჰესის მიმართ არის პროტესტი, რომლებიც „ყველგან არის მაღალ დონეზე ორგანიზებული“. აქვე აღნიშნავს, რომ თუ ეს პროცესი [გულისხმობს 84 ჰესის გაჩერებას] გაიმარჯვებს, საქართველო დაკარგავს „არც მეტი, არც ნაკლები - 4 მილიარდ დოლარს“.

წამყვანი ასახელებს კონკრეტულ ფაქტებს და რიცხვებს, თუმცა, გაურკვეველია, რაზე დაყრდნობით და რატომ, რადგან, ეს რიცხვები სიმართლეს არ შეესაბამება.

რობლემა #1. სიმართლეს არ შეესაბამება ფაქტი რომ საქართველოში ა) „ყველა“, 84-ვე ჰესი შეჩერებულია, და ისინი შეჩერებულია პროტესტის გამო. ეს მონაცემი არ მყარდება საქართველოში, ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით. ბ) ით უფრო, შეუძლებელია ინფორმაციის მოძიება მოსახლეობის და “ორგანიზებული პროტესტის შესახებ” საქართველოში მიმდინარე 84 ჰესის შესახებ და თან, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა (ამას პეტრიაშვილი ასევე თავის მონოლოგში აღნიშნავს). ამასთან, საქართველოში არის ბევრი სხვა მიზეზი, რის გამოც ჰესების მშენებლობის პროექტები არის გაჩერებული (იხ. განმარტება ქვემოთ).

საქართველოში რომ “ყველა” ჰესი გაჩერებულია - ამ ინფორმაციის მცდარობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ხუთ წელიწადში ორმოცამდე ჰესი აშენდა. მთელ რიგ ჰესებთან მიმართებაში იყო და არის ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი. ეალურად, პროტესტის გამო შეჩერებულია ორი ჰესი: პანკისის ხეობაში - სამყურისწყალი და ხადორი 3, თუმცა მშენებელმა არაერთხელ განაცხადა, რომ გააგრძელებს პროექტს.

არის ჰესები, რომელთა მშენებლობა პროტესტის მიუხედავად გრძელდებოდა, მაგრამ შემდეგ შეჩერდა სხვადასხვა მიზეზით. აგალითად, ნენსკრა ჰესი, რომელიც შეჩერდა მას შემდეგ, რაც მთავარმა ინვესტორმა, იტალიურმა კომპნაიამ "სალინი იმპრეჯილომ" დატოვა პროექტი.

ხუდონჰესის პროექტზე მუშაობა შეჩერდა მას შემდეგ, რაც ნიდერლანდების გარემოზე ზემოქემდების შეფასების (გზშ) კომისიამ დასვა მთელი რიგი კითხვები პროექტისა და მის გზშ ხარისხთან მიმართებაში. კომპანია „ტრანსელექტრიკამ" მოამზადა გზშ ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ მოამზადა 100 შენიშვნა და დაავალა კომპანიას მათი გათვალისწინება. კომპანიამ ვერ შეძლო ამ შენიშვნების მიხედვით პროექტის გადამუშავება და გზშ-ს დასრულება, რაც გახდა პროექტის შეჩერების მიზეზი. პროქტი ამჟამად განიხილება საერთაშორისო არბიტრაჟში.

არსებობს ჰესების პროექტების შეჩერების სხვა მიზეზებიც. თ შორის, მთავრობა, ან მიმდინარე პროცესები:





პროექტების შეფერხებას, პირველ რიგში, იწვევს ჰესების პროექტების განვითარების დამკვიდრებული პრაქტიკა/პოლიტიკა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მანამდე ენერგეტიკის სამინისტრო) აქვეყნებს წინასწარ მომზადებულ პროექტების ნუსხას, სადაც უკვე განსაზღვრულია ელექტროსადგურების ყველა პარამეტრი: ზუსტი ადგილმდებარეობა, ტიპი, დიზაინი, სიმძლავრე და ა.შ. ეს მონაცემები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელ ჰიდროლოგიურ, გეოლოგიურ, საინჟინრო და ა.შ. კვლევებს ეყრდნობა და მათზე დაყრდნობით ინვესტორსა და მთავრობას შორის იდება მემორანდუმი ან ხელშეკრულება. როგორც წესი, არ არის შესწავლილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხები.

ინვესტორების ნაწილი, რომელიც მოგვიანებით აღმოაჩენს ხოლმე, რომ ენერგეტიკის/ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოცემული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს, თავს იკავებს პროექტის გაგრძელებაზე. ნაწილი იწყებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებულ კვლევებს, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ინვესტორების მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანიები, ცდილობენ კვლევის შედეგები მოარგონ მემორანდუმში დაფიქსირებულ რაოდენობრივ მონაცემებს.

პროექტის მომზადებისა და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დროს, ხშირად ნათელი ხდება, რომ სხვადასხვა პროექტს აქვს კონკრეტული სამართლებრივი ამ გარემოსდაცვით კვლევებთან დაკავშირებული შინაარსობრივი ხარვეზი და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, სამინისტრო წერილობით შენიშვნებს აძლევს პროექტის განმახორციელებელს და გარკვეული ვადით აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რითიც დროს აძლევს ინვესტორს მათ გამოსასწორებლად. ინვესტორებს ან არ შეუძლიათ, ან არ სურთ ამ ხარვეზის გამოსწორება და სწორედ ასეთ პროცესებს გულისხმობენ „შეჩერებულ პროექტებში“. ამგვარი მრავალი მაგალითის ნახვა თავისუფლად არის შესაძლებელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

 რობლემა #2. ინფორმაცია, რომ საქართველოში პროტესტის გამო გაჩერებული 84 ჰესის პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიარდ დოლარს არის მცდარი და ის არის ფაქტებით მანიპულაცია.

 აც შეეხება “დაკარგულ 4 მილიარდ ინვესტიციას”, ამ თანხის უმეტესი ნაწილი მოდის რამდენიმე პროექტზე (და არა 84 ჰესზე), რომელთა შეჩერებაც არ არის დაკავშირებული საზოგადოების პროტესტთან:

მაგალითად: 1. ნენსკრაჰესის საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 1.1 მილიარდ დოლარს. როექტის შეჩერების მიზეზები ზემოთ ავხსენით, ისევე როგორც 2. უდონჰესის, რომელიც იყო 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიცია. 3. 850 მილიონი დოლარის ინვესტიციაა გამოცხადებული ნამახვან ჰესის შესახებ (სინამდვილეში, არ გვინახავს კონკრეტული ინფორმაცია ამ მხრივ მოზიდული ინვესტიციების ან ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობის შესახდებ). 4. ონის კასკადი, 330 მილიონი აშშ დოლარი (პროექტი ჯერ არ დაწყებულა).

მხოლოდ ამ ოთხ პროექტზე მოდის 3.78 მილიარდი აშშ დოლარი. როექტების აღწერის სია შორს წაგვიყვანს. ხოლოდ ამ მაგალითბით ჩანს პრობლემაში აღწერილი ინფორმაციის მცდარობა.

ამ ინფორმაციის გადამოწმება, ოფიციალური მონაცემების მოშველიება, ან სწორი ფაქტების გამოცხადება არ უცდია ჟურნალისტ ეკა მიშველაძეს.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსი პეტრიაშვილი არის „ანალიტიკოსი“, ის ასევე არის გადაცემის წამყვანი და მაყურებელს აწვდის ინფორმაციას, მათ შორის ფაქტებს. ამიტომ, ვფიქრობთ, მას ამ შემთხვევაში, ეკისრება ეთიკური პასუხისმგებლობები აუდიტორიის წინაშე.

ასეთი მონაცემების გადასამოწმებლად ჟურნალისტებს შეეძლოთ მიემართათ თუნდაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის და გაერკვიათ, ნამდვილად არის თუ არა გაჩერებული 84 (ან 54) პროექტი, რა არის მათი გაჩერების მიზეზი და ა.შ.

მიწისძვრის საკითხები

დაირღვა პრინციპები: #1, #3 და #11 („ფაქტის განზრახ დამახინჯება“).

გადაცემაში ერთ-ერთი რესპოდენტი, „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე, როცა მას ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს ზოგადად ნამახვანჰესის საკითხთან დაკავშირებით, ამბობს:

„მე აბსოლუტურად მესმის იმ ადამიანების. მე რომ ვცხოვრობდე იმ რეგიონში ... და მეტყოდნენ რომ 100 მეტრზე მეტი კაშხალი შენდება, რომელზეც სეისმური კვლევა არ არის ჩატარებული და ის შეიძლება დაინგრეს და ქუთაისი წალეკოს 19-მეტრიანმა ტალღამ და ფოთამდე ჩააღწიოს, ბუნებრივია რომ მეც გავაპროტესტებდი...“

მას ამ სიტყვას აწყვეტინებს ჟურნალისტი ეკა მიშველაძე შემდეგი ფრაზით და ინფორმაციის გაჟღერებით:

„თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი რეალობას არ შეესაბამება.“

მალევე, რამდენიმე წამში მიშველაძე გადადის ე. წ. „მითების“ საკითხზე და სვამს კითხვას:

„უნდა გაიფანტოს თუ არა ასეთი აბსურდული საკითხები, რაზეც ახლა ვსაუბრობთ“? - ანუ, ის აბსურდულს უწოდებს არაერთ პრობლემას, რომელსაც მოსახლეობა თუ მეცნიერები ასახელებენ, მათ შორის, სეისმურ რისკებს და ზუთხების სახეობებზე ზემოქმედების საკითხებს.

პრობლემა #1: მიშველაძე ამბობს ტყუილს, თითქოს სეისმოლოგიასთან ან დატბორვის რისკთან დაკავშირებული საკითხები, რაზეც მანჯგალაძე საუბრობდა, „სიმართლეს არ შეესაბამება“. ეს არ არის ფაქტი. ეს არის არაზუსტი ინფორმაცია. მდგომარეობას კი უფრო ამწვავებს შემდეგი გარემოება: ის რომ, სეისმური რისკები შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს ეკა მიშველაძემ გადაცემაში მისივე ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთის წინ თვითონვე, მაყურების თვალწინ, კომპეტენტური წყაროსგან მოისმინა. შეიძლება ჟურნალისტი მოუმზადებლობისა და უცოდინრობის გამო ავრცელებდეს ამ ინფორმაციას (ასეთ შემთხვევაშიც, თავისთავად, ფაქტად არ უნდა გამოაცხადოს ის, რაც ზუსტად არ იცის), მაგრამ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინფორმაციის განზრახ დამახინჯებასთან.

მივყვეთ ქრონოლოგიას:

ეს განცხადება („თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი რეალობას არ შეესაბამება.“) ეკა მიშველაძემ მაშინ გააჟღერა, როცა რამდენიმე წუთის წინ მან მაყურებელთან ერთად მოუსმინა გადაცემის სტუმარს, სეისმოლოგ თეა გოდოლაძეს, რომელმაც დაწვრილებით და გარკვევით ისაუბრა პროექტის ფარგლებში არსებულ სერიოზულ სეისმურ რისკებზე. მათ შორის, მან თქვა, რომ ნამახვან ჰესის წინასწარ შესრულებულ კვლევებთან დაკავშირებით მის ინსტიტუტს [„დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტს და სეისმური მონიტორინგის ეროვნულ ცენტრს“] პრობლემა ჰქონდა, რადგან ისინი არ შეესაბამებოდა სტანდარტებს.

„კვლევა ვერანაირ სტანდარტს და კრიტიკას ვერ უძლებდა“ - განაცხადა გოდოლაძემ მიშველაძესთან საუბრისას და დაამატა, რომ კვლევები განხილული უნდა იყოს მთელ პაკეტში, მათ შორის გეოლოგიური, სეისმური კუთხით და ეს კვლევები არ არის გაკეთებული. სეისმოლოგმა ასევე თქვა:

„საერთაშორისო სტანდარტით, როცა 105 მეტრის კაშხალს აშენებთ, თქვენი კვლევა უნდა იყოს უფრო საფუძვლიანი და დამატებით მეტი დრო უნდა იყოს გასული იმისათვის, რომ სარწმუნო ინფორმაცია შეაგროვოთ, რათა შენობა უსაფრთხო იყოს რეგიონში“.

ამ საკითხში გოდოლაძეს ეკამათება „ენკას“ ფლანგზე მჯდომი ინჟინერი, რომელსაც თეა გოდოლაძე პასუხობს, რომ მის მიერ მოყვანილი ინფორმაცია არის არასწორი. ორი მხარე ამ საკითხზე ვერ თანხმდება.

საბოლოოდ, ჟურნალისტი სეისმოლოგს ნამახვან ჰესის ახლანდელ პროექტზე ეკითხება:

- მიწისძვრა რომ მოხდება, დაინგრევა?

- 0,3 g-ზე დათვლა ეს ნიშნავს იმ ძალაზე დათვლას, რა ძალაც ძლიერ მიწისძვრას ვერ გაუძლებს, - პასუხობს გოდოლაძე.

- ანუ, რაღაცა სიმძლავრის მიწისძვრას ვერ გაუძლებს? - მიშველაძე.

- ვერ გაუძლებს, - პასუხობს გოდოლაძე.

- რამდენს?

-[პროექტი] დათვლილია ნაკლებზე, ვიდრე გაუძლებს, - პასუხობს სეისმოლოგი.

ამ დიალოგის შემდეგ მალევე ჟურნალისტი მიშველაძე მისი სტუდიის სტუმრის, პაატა მანჯგალაძის მიერ გაჟღერებულ ინფორმაცია სეისმურ რისკებსა და ტალღის საფრთხეზე დადასტურებით უარყოფს და მას უწოდებს დადასტურებულად „სიმართლესთან შეუსაბამოს“.

რაც შეეხება მანჯგალაძის მიერ ხსენებული რისკების მეორე ნაწილს ტალღასთან დაკავშირებით, რომელიც მიშველაძემ ასევე მითად და დადასტუერბულ ტყუილად შეაფასა, ეს ინფორმაციაც აღებულია „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის წინასწარი გათვლებიდან, რომელიც არაერთხელ გავრცელდა მედიაშიც და ამაზე ღიადაც აცხადებენ ინსტიტუტის წარმომადგენლები https://www.youtube.com/watch?v=Sz4dzDTHGmU/ . დედამიწის მეცნიერებათა შემსწავლელ ინსტიტუტს და მის თანამშრომლებს ჯერ არ განუცხადებიათ, რომ ეს ვიდეო არ შეესაბამება სიმართლეს. მას გამოიყენებენ თვალსაჩინოებისთვის, რა შეიძლება მოხდეს მაღალი რისკის შემთხვევაში, პროექტის აღნიშნული გათვლებიდან გამომდინარე.

იმას, რომ ნგრევის შემთხვევაში ძლიერი ტალღის წარმოშობის მაღალი რისკი არსებობს, სხვადასვა დისკუსიებში „სისულელეს“ უწოდებენ, ძირთადად, „ენკა“ და მისი მომხრეები.

გარდა იმისა, რომ როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, ეკა მიშველაძემ განზრახ დაამახინჯა ფაქტი, მან ასევე ეს ფაქტი დაამახინჯა მის გადაცემაში მოწვეული სტუმრების ერთი მხარის (ენკას მომხრეების) არგუმენტების სასარგებლოდ, რომელთა მხარდაჭერაც და მიკერძოებაც გადაცემაში მან და წამყვანმა ალექსი პეტრიაშვილმა არაერთხელ გამოამჟღავნეს და, ვფიქრობთ, ეს არის ასევე არაეთიკური ჟურნალისტის მხრიდან.